



**კანადის საჯარო
ანგარიშვალდებულების საბჭოს
(CPAB) მიერ ჩატარებული
ინსპექტირების შედეგად
აღმოჩენილი ფაქტების შესახებ
აუდიტორული ფირმების მხრიდან
აუდიტის კომიტეტების
ინფორმირების პროტოკოლი**

მარტი, 2014

ზოგადი ინფორმაცია

1. კანადის საჯარო ანგარიშვალდებულების საბჭო (CPAB) კანადის აუდიტის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანოს სახით 2003 წელს დაარსდა. CPAB-ის მისიაა ეფექტური რეგულირებისა და ხარისხიანი, დამოუკიდებელი აუდიტის წახალისების გზით, ხელი შეუწყოს კანადაში ანგარიშვალდებულებული ემიტენტების (Reporting Issuer) მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის კეთილსინდისიერების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას. CPAB საკუთარ მისიას ძირითადად იმ აუდიტორული ფირმების ინსპექტირების გზით ახორციელებს, რომელთა მიმართაც მას ზედამხედველობის პასუხისმგებლობა აკისრია.

ამჟამად, CPAB-ის აუდიტის მარეგულირებელ პროგრამაში მონაწილეობას იღებს 165 კანადური აუდიტორული ფირმა და 135 უცხოური აუდიტორული ფირმა. აღნიშნული აუდიტორული ფირმები დაახლოებით 7000 ანგარიშვალდებულებული ემიტენტის (მათ შორის, საინვესტიციო ფონდების) აუდიტს ატარებენ. ამჟამად, CPAB 14 ფირმას ყოველწლიურად ამოწმებს, რომლებიც თავის მხრივ 100 ან მეტი ანგარიშვალდებულებული ემიტენტის აუდიტს ახორციელებენ. საბაზრო კაპიტალიზაციის თვალსაზრისით, ეს აუდიტორული ფირმები, კანადის ანგარიშვალდებულებული ემიტენტების 99.5 პროცენტის აუდიტს ატარებენ. დარჩენილი აუდიტორული ფირმები, რომლებიც კანადის ანგარიშვალდებულებული ემიტენტების 0,5 პროცენტის აუდიტს ატარებენ, ექვემდებარებიან მხოლოდ პერიოდულ ინსპექტირებას.

2. CPAB-ის სამუშაო ძირითადად მოიცავს ზედამხედველობის პროგრამაში მონაწილე აუდიტორული ფირმების მეთოდოლოგიების, პოლიტიკისა და ხარისხის კონტროლის აღსრულების პროცესის შეფასებას.

CPAB ინსპექტირებისას მთავარ აქცენტს აკეთებს აუდიტორული ფირმების მიერ ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხარისხზე. აღნიშნული ინსპექტირება ყოველწლიურად შეეხება 30–40 აუდიტორული ფირმის მიერ მომზადებულ დაახლოებით 200–250 აუდიტის ფაილს. ფაილების შერჩევა ხდება ანგარიშვალდებულებული ემიტენტების წინაშე არსებული რისკ-ფაქტორების შეფასების საფუძველზე, აგრეთვე გათვალისწინებულია ცალკეულ აუდიტორულ ფირმებთან დაკავშირებული ფაქტორები, როგორებიცაა წინა ინსპექტირების შედეგები, პარტნიორის გამოცდილება, ოფისების გეოგრაფიული განაწილება და დარგობრივი სპეციალიზაცია. CPAB არ ატარებს აუდიტის მთლიანი ფაილის ინსპექტირებას. ამის ნაცვლად, ფაილის ინსპექტირების პროცედურები მოიცავს ორიდან ოთხამდე კონკრეტულ საყურადღებო სფეროს, რომლებიც, როგორც წესი, არის არსებითი, მაღალი რისკის შემცველი ფინანსური ანგარიშგების მუხლები, რომლებიც საჭიროებენ უფრო კომპლექსურ შეფასებებსა და განსჯას (მაგალითად, გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, არალიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება და საწარმოთა გაერთიანებები).

ყოველი ინსპექტირების შემდეგ, CPAB გამოსცემს პირად ანგარიშს, რომელიც აჯამებს აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის პროცესის ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ფაქტებს. იგი ასევე მოიცავს ცალკეული ფაილების მიმოხილვას და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების სავალდებულო რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა შესრულდეს განსაზღვრულ ვადაში. CPAB-ის მიერ ჩატარებული ინსპექტირების პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მითითებულ ვებგვერდზე: www.cpab-ccrc.ca.

3. CPAB ყოველწლიურად აქვეყნებს საჯარო ბუღალტრული ფირმების მიერ ჩატარებული აუდიტის ხარისხის ინსპექტირების შესახებ საჯარო ანგარიშს (საჯარო ანგარიში). აღნიშნულ ანგარიშში მოცემულია აუდიტორული ფირმის (ფირმის დონეზე) ინსპექტირების ძირითადი საგნის, ტენდენციებისა და რეგულარული თუ ახლად წამოჭრილი საკითხების მოკლე მიმოხილვა. ინსპექტირებისას აღმოჩენილი ფაქტები აღწერილია ინსპექტირებული ფირმებისა და ანგარიშვალდებული ემიტენტების იდენტიფიცირების გარეშე. აუდიტის კომიტეტის წევრები ეცნობიან როგორც CPAB-ის მიერ მომზადებულ საჯარო ანგარიშებს, ისე აღნიშნული კომიტეტებისთვის გამოცემულ პერიოდულ საინფორმაციო ბიულეტენებს, რის შემდგომაც ისინი აუდიტორთან ერთად განიხილავენ აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დაადგინონ თუ როგორ რეაგირებს აუდიტორული ფირმა და აუდიტის გუნდი აღნიშნულ საკითხებზე.
4. აუდიტის კომიტეტების არსებობა ხელს უწყობს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას, ვინაიდან ისინი ხარისხიანი აუდიტისათვის შესაფერისი გარემოს შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობის როლს თამაშობენ. აუდიტის კომიტეტებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ გარე აუდიტორის საქმიანობის ზედამხედველობაზე. სწორედ მათ გაუზიარეს CPAB-ს მოსაზრება, რომ მათი საზედამხედველო ფუნქციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ფაქტებთან დაკავშირებით მეტი გამჭვირვალობა სურდათ. წინამდებარე პროტოკოლის მიზანია ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების გამჭვირვალობის გაზრდით დაეხმაროს სწორედ აუდიტის კომიტეტებს აუდიტის ხარისხისა და ეფექტურობის შეფასებაში, რაც თავის მხრივ აუდიტის ხარისხზე დადებით გავლენას მოახდენს.

წინამდებარე პროტოკოლის თანახმად ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების შესახებ აუდიტორულმა ფირმებმა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ აუდიტის კომიტეტებს

5. CPAB-ის მიერ ცალკეული ანგარიშვალდებულებული ემიტენტის ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტები ყველაზე მეტად რელევანტურია მისივე აუდიტის კომიტეტისთვის, რასაც შეუძლია უშუალოდ გააუმჯობესოს როგორც აუდიტის ხარისხი, ისე აუდიტის კომიტეტის მხრიდან აუდიტორზე ზედამხედველობის პროცესი.

მოცემული პროტოკოლის მიხედვით, ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ანგარიშის წარდგენის პროცესი ორი კომპონენტისგან შედგება:

- CPAB-ის ყოველწლიურ საჯარო ანგარიშში შეტანილი აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აუდიტის კომიტეტისთვის (იხილეთ მე-6 პუნქტი).
- ცალკეული ანგარიშვალდებულებული ემიტენტების ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ანგარიშის წარდგენა (იხილეთ მე-7 პუნქტი).

CPAB მიიჩნევს, რომ აუდიტორული ფირმის მხრიდან აუდიტის კომიტეტისთვის ცალკეული ანგარიშვალდებულებული ემიტენტის ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტებისა და CPAB-ის მიერ მომზადებული საჯარო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ერთი მხრივ, დაეხმარება აუდიტის კომიტეტებს მათი საზედამხედველო ფუნქციების უკეთ შესრულებაში და მეორე მხრივ, გააუმჯობესებს აუდიტის ხარისხს.

6. მოცემული პროტოკოლის თანახმად, აუდიტორულმა ფირმებმა CPAB-ის მიერ მომზადებული ყოველწლიური საჯარო ანგარიში უნდა გაუგზავნონ აუდიტის კომიტეტებს. ყველა ანგარიშვალდებულებული ემიტენტის აუდიტის კომიტეტი ამ ინფორმაციას მიიღებს ყოველწლიურად, ელექტრონული ფორმით.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც CPAB-მა ინსპექტირება ჩაუტარა ანგარიშვალდებულებული ემიტენტის აუდიტის ფაილს, აუდიტორული ფირმა აუდიტის კომიტეტს მიაწვდის შემდეგ სახის ინფორმაციას:

- (i) CPAB-ის მიერ ინსპექტირებისათვის შერჩეული საყურადღებო სფეროების აღწერას.
- (ii) მითითებას იმის თაობაზე, აღმოჩენილ იქნა თუ არა ინსპექტირების შედეგად მნიშვნელოვანი ფაქტები.
- (iii) CPAB-ის მიერ ჩატარებული ინსპექტირების ნებისმიერ მნიშვნელოვან აღმოჩენილ ფაქტს (როგორც ეს შეტანილია CPAB-ის მიერ მომზადებულ ანგარიშში თითოეული გარიგების თაობაზე (Engagement Findings Report)), მათ შორის, აღმოჩენილი ფაქტებისა და CPAB-ის განკარგულებაზე რეაგირების მიზნით ფირმის მიერ გატარებული ღონისძიებების აღწერას.

აუდიტორული ფირმა პარალელურად ამ ინფორმაციის ასლს მიაწვდის CPAB-ს.

8. აუდიტის კომიტეტის წევრებმა თავიანთ აუდიტორთან უნდა განიხილონ ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ფაქტები. აღნიშნული განხილვების შედეგად გააზრებულ უნდა იქნეს შემდეგი ასპექტები:
 - ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ფაქტების ხასიათი და ძირითადი გამომწვევი მიზეზები.
 - აუდიტორული ფირმის მიერ შესრულებული დამატებითი სამუშაო აღმოჩენილ ფაქტებსა და მათთან დაკავშირებულ შედეგებზე რეაგირების მიზნით.
 - გავლენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადრე წარდგენილ ან მომავალში წარსადგენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
 - ცვლილებები, რომლებსაც ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ფაქტებზე რეაგირების მიზნით, აუდიტორი განახორციელებს აუდიტის ჩატარების მიდგომაში.

9. CPAB მიესალმება აუდიტორებსა და აუდიტის კომიტეტებს შორის ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების თაობაზე ისეთ ღია და გულწრფელ დისკუსიას, რაც დაეხმარება აუდიტის კომიტეტებს აუდიტორზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში. მოცემული პროტოკოლის თანახმად, CPAB აუქმებს მისსავე წესდების (CPAB Rules) 413-ე წესის (Rule 413) დებულებებს, რის შედეგადაც აუდიტორული ფირმებისთვის ნებადართული იქნება აუდიტის კომიტეტებთან კომუნიკაცია, იმის მიუხედავად, ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ იქნა თუ არა მნიშვნელოვანი ფაქტები (როგორც ეს განმარტებულია მე-11 პუნქტში). მნიშვნელოვანი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში კი - აუდიტის კომიტეტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ ფაქტების, აუდიტორული ფირმის მიერ მიღებული ზომებისა და CPAB-ის განკარგულების თაობაზე.

10. მნიშვნელოვანია, აუდიტის კომიტეტებმა გაიაზრონ CPAB-ის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მასშტაბი და ის ფაქტი, რომ კანადის საჯარო ანგარიშვალდებულების საბჭო ინსპექტირებას არ უტარებს აუდიტის მთლიან ფაილს. CPAB-ის მიერ ჩატარებული ინსპექტირების მიზანი არ არის (და არც შეიძლება იყოს) აუდიტში არსებული ყველა შესაძლო ნაკლოვანების გამოვლენა. ზოგადად, CPAB ახორციელებს მაღალი რისკის შემცველი აუდიტის სფეროების ინსპექტირებას უფრო რთული საჯარო კომპანიების ან ისეთი კომპანიების აუდიტის ფაილებში, სადაც არსებობს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული სადავო საკითხების გამოვლენის უფრო მაღალი ალბათობა. CPAB ანგარიშში არ აკეთებს აქცენტს აუდიტის ფაილის იმ სფეროებზე, სადაც მოცემულია აუდიტორის მიერ ჩატარებული სამუშაო რამდენად შეესაბამება სავალდებულო სტანდარტებს ან სცდება მათი მოქმედების სფეროს. შესაბამისად, CPAB-ის მიერ ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს ისეთ ანგარიშს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ყველა ანგარიშვალდებულ ემიტენტზე, როგორც ერთ მთლიანობაზე, დასკვნების გაკეთება.

თუ CPAB-ის მიერ აუდიტის ფაილის ინსპექტირებისას მნიშვნელოვანი ფაქტები არ გამოვლინდა, ეს არ ნიშნავს, რომ აუდიტის ყველა ასპექტი სრულად შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს ან, ანგარიშვალდებულებული ემიტენტის ფინანსური ანგარიშგება აუცილებლად მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაცვით.

თანდართული კითხვა-პასუხი, რომელიც საბოლოო პროტოკოლთან ერთად გამოიცა, იძლევა პასუხებს იმ გავრცელებულ კითხვებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს პროტოკოლის დანერგვასთან მიმართებით.

ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ფაქტები

11. ამ პროტოკოლის თანახმად, ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება აუდიტის კომიტეტებს.

CPAB-ის მიერ ინსპექტირებისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტები განიმარტება, როგორც მნიშვნელოვანი ნაკლოვანება საყოველთაოდ მიღებული იმ აუდიტის სტანდარტების გამოყენების პროცესში, რომლებიც დაკავშირებულია არსებით ფინანსურ ნაშთთან ან ოპერაციათა ნაკადებთან, როდესაც აუდიტორულ ფირმას მოეთხოვება მიმდინარე წელს შეასრულოს დამატებითი აუდიტორული სამუშაო, აუდიტორის მოსაზრების დასაბუთების მიზნით ან/და როდესაც აუდიტორულ ფირმას ევალება მის აუდიტის მიდგომაში შეიტანოს მნიშვნელოვანი ცვლილებები. CPAB ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ყველა მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით აუდიტორული ფირმებისგან მოითხოვს წერილობითი ფორმით რეაგირებას.

რეაგირება ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ფაქტებზე

12. აუდიტის ფაილის ინსპექტირების დასრულებისას, CPAB ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას აწვდის აუდიტორულ ფირმას.

ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებზე ჩვეული წესით რეაგირებისას, აუდიტორული ფირმა ასრულებს დამატებით სამუშაოს, რათა დარწმუნდეს, რომ გამოცემული აუდიტორული მოსაზრება კვლავ შესაფერისია.

თუ ანგარიშვალდებულებული ემიტენტის ფინანსურ ანგარიშგებაში პოტენციური არსებითი შეცდომა არ გამოვლინდება, აუდიტორული ფირმა ამ პროტოკოლით მოთხოვნილ ანგარიშს (იხილეთ მე-7 პუნქტი) მომდევნო ჩანიშნულ შეხვედრაზე წერილობითი სახით წარუდგენს აუდიტის კომიტეტს. პოტენციური არსებითი შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, აუდიტორული ფირმა, პრიორიტეტული წესით, ამის თაობაზე შეატყობინებს როგორც ანგარიშვალდებულ ემიტენტს, ისე აუდიტის კომიტეტს.

აუდიტის კომიტეტი და აუდიტორი უნდა შეთანხმდნენ დროზე, როდის უნდა მიეწოდოს აუდიტის კომიტეტს ინფორმაცია ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, რადგან ზოგიერთი აუდიტის კომიტეტი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ფაქტების შესახებ შეტყობინების მიღებას შესაძლოა ადრეულ ეტაპზე ანიჭებდეს უპირატესობას.

ყველა შემთხვევაში, აუდიტორული ფირმა CPAB-ს აცნობებს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის თაობაზე. ამ პროცესში, აუდიტორული ფირმა CPAB-ს წარუდგენს ერთი მხრივ ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ აუდიტორული სამუშაო დასრულდა, მეორე მხრივ კი დამატებით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს შედეგებს. გარდა ამისა, აუდიტორული ფირმა CPAB-ს მიაწვდის ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვლება მომავალში, საჭიროებებიდან გამომდინარე, მისი აუდიტის მიდგომა.

კონფიდენციალურობა

13. კანადის საჯარო ანგარიშვალდებულების საბჭოს აქტის (ონტარიო) (CPAB Act) მე-11 განყოფილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ ყველა დოკუმენტი და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც CPAB-მა მანდატის განხორციელების დროს მიიღო ან მისთვის მომზადდა, ასევე CPAB-ის თანამშრომლებისა და წარმომადგენლების მიერ გამოთქმული ყოველი მოსაზრება, რომელიც CPAB-ის ზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ინსპექტირებასთან, გამოძიებასთან ან მიმოხილვის ჯგუფების სამუშაო პროცესთან არის დაკავშირებული, კონფიდენციალურია. ანგარიშვალდებულებული ემიტენტის ხელმძღვანელობამ და აუდიტის კომიტეტის წევრებმა უნდა მიიღონ ზომები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ მათთვის გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა იყოს დაცული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ფინანსურ და იურიდიულ კონსულტანტებთან ინფორმაციის გაზიარებამდე, ანგარიშვალდებულებული ემიტენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაცული იქნება აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

პროტოკოლის გამოყენება

14. წინამდებარე პროტოკოლი შემუშავდა მხოლოდ აუდიტის კომიტეტების მხრიდან გაჟღერებული თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რათა მათ ჰქონოდათ შესაძლებლობა მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია CPAB-ის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ფაქტების თაობაზე. შესაბამისად, მოცემული პროტოკოლის გამოყენება ნებაყოფლობითია. პროტოკოლის დანერგვასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, იმ აუდიტორული ფირმების სია, რომლებიც მოცემულ პროტოკოლს გამოიყენებენ, ხელმისაწვდომი იქნება აუდიტის კომიტეტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ცვლილებები პროტოკოლში

15. CPAB საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, გეგმავს მოცემული პროტოკოლის პერიოდულად გადასინჯვას და მის ფუნქციონირებასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გავლას.

გამოყენება და ძალაში შესვლის თარიღი

16. მოცემული პროტოკოლი ძალაშია 2014 წლის 1-ელ მარტს ან მას შემდეგ დაწყებული აუდიტის ფაილების იმ ინსპექტირებისთვის, რომელიც ტარდება CPAB-ის მიერ.

თარგმანი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით.

CPAB არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსსა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალს, ინგლისურ ვერსიას.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). CPAB bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version of the document.